კვლავ ორი ქულა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 28 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – ოფიცერთა სახლი (სვერდლოვსკი) – 2:0 (2:0).

ოფიცერთა სახლი (სვერდლოვსკი) – სმირნოვი, კონცევოვი, ლინიაევი, სუეტოვი, გლადკიხი, დუბინსკი, სკულკინი, ნევეროვი, ბუზუნოვი, ივანოვი, მიხინი.

“დინამო” (თბილისი) – პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ხასაია, ჭკუასელი, ზაზროშვილი, კალოევი, მესხი.

მსაჯი: ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდმა სწორი ტაქტიკა აირჩია თბილისის “დინამოს” წინააღმდეგ ბრძოლაში. სტუმრები მასპინძლებს ჩამორჩებოდნენ ტაქტიკაში, ტაქტიკურად დაგეგმილ თამაშში, ამიტომ მათ გადაწყვიტეს მატჩი თავიდან ბოლომდე მაქსიმალურად მაღალ ტემპში, სრული ფიზიკური დატვირთვით ჩაეტარებინათ, არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის კომბინაციური თამაშის გაშლის საშუალება.

მათ ასეც დაიწყეს მატჩი. სვერდლოვსკის გუნდის თავდამსხმელთა მოქმედება აგებული იყო მარტივ, მაგრამ სწრაფ გადაცემებზე შესაძლებელი ცალკეული გარღვევებით. მათი ამოხსნა “დინამოს” დაცვისათვის ძნელი არ იყო, მაგრამ მაინც მოითხოვდა დიდ ყურადღებას და მზადყოფნას ყოველ სექტორში.

მე–7 წუთზე არმიელთა მცველებმა ღოღობერიძე ხელით დაიჭირეს საჯარიმო მოედნის სიახლოვეს. “დაზარალებულმა” ბურთი სწრაფად გადააწოდა კალოევს, რომელმაც მოძებნა გზა კარის კუთხისაკენ და დაბალი ბურთი გაგზავნა იქით. სმირნოვი ჯერ გამოიქცა, შემდეგ გადახტა, მაგრამ ბურთს მაინც ვერ მიასწრო – 1:0.

ასეთი დასაწყისის მიუხედავად სვერდლოვსკელებმა სცადეს განეგრძოთ თავიანთი იერიშები. ბუზუნოვმა, ნევეროვმა და სკულკინმა რამდენჯერმე შეძლეს კიდეც სახიფათო მომენტების შექმნა, მაგრამ დინომოელთა მცველები და პირაევი ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც საჭირო იყო.

შემდგომში სტუმრებმა თვითონვე ვერ გაუძლეს აღებულ ტემპს და მოადუნეს იგი. ამას მეორე გოლი მოჰყვა – ხასაიამ კუთხური საჯარიმოდან ბურთი წინ წამოწეულ ელოშვილს გადასცა. თბილისელთა მცველის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, მაგრამ იქვე კართან ახლოს აღმოჩნდა კალოევი, რომელსაც გოლის გატანის მეტი აღარაფერი დარჩენოდა – 2:0.

ტაიმის დასასრულამდე “დინამოს” უპირატესობა სულ უფრო და უფრო მატულობდა, როგორც ყოველთვის, მეტად აქტიური იყო ხასაია, რომელიც ხშირად იცვლიდა ადგილს და ყოველი საწყისი პოზიციიდან მზად იყო შეტევისათვის. ზაზროშვილი შორი მანძილიდან აგზავნიდა მისკენ ზუსტ გადაცემებს და მცველთა რიცხვიდან სუეტოვის დასახმარებლად ხშირად იგზავნებოდა რომელიმე “თავისუფალი“ მოთამაშე.

ამ ანგარიშით – 2:0 “დინამოს” სასარგებლოდ გუნდები წავიდნენ შესვენებაზე. მეორე ტაიმი სტუმრებმა ისევე დაიწყეს, როგორც პირველი – სწრაფი, შეუნელებელი იერიშებით. ამჯერად მათი ეს მანევრი უფრო ხანგრძლივი და საფუძვლიანი აღმოჩნდა, ხოლო თბილისელთა თავდასხმამ რატომღაც პასიური თამაში აირჩია. კალოევი და ჭკუასელი ნაკლებად ებმებოდნენ თამაშში, იშვიათად მიდიოდა ბურთი მესხს.

მეორე ტაიმის განმავლობაში თბილისელები, მართალია, სახიფათოდ, მაგრამ მხოლოდ დროდადრო თუ ახერხებდნენ ნამდვილი იერიშების ჩატარებას მოწინააღმდეგის კარზე. არც მათს, არც არმიელთა შეტევებს შედეგი აღარ მოჰყოლია. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა თბილისის “დინამომ”.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა გაიმართა საქართველოს სპარტაკიადის გახსნის დღეს, 27 მაისს.

თბილისელებმა კვლავ სუსტად ჩაატარეს მატჩი, საერთოდ, მათ ასეთი ჩვეულება დასჩემდათ: ერთ შეხვედრას ატარებენ კარგად, მეორეს – ცუდად. ეს მატჩი ცუდად ჩატარებულთა კატეგორიაში მოხვდა. ისევ უპასუხისმგებლოდ თამაშობდა კოტრიკაძე, რომლის უხეში შეცდომების შედეგად “დინამოს” კარში გატანილ იქნა 2 ბურთი. ასეთივე შეფასება შეიძლება მიეცეს იამანიძის, ხელაძის, ქვლივიძის, ურთქმელიძისა და სხვათა თამაშს.

გამარჯვება ანგარიშით 2:1 მოიპოვეს სვერდლოვსკის დუბლიორებმა.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 29 მაისი, 1956 წ.